ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1839010

ნომერი: AR1296825

თარიღი : 30.03.2015

გაცემის თარიღი : 16.04.2015

გაცნობის თარიღი : 24.11.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დ. აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ-ზე./ ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , მე-12 კმ. , (ნაკვეთი N5/5) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვაჟა გაგუა პ/ნ 62001041223
- სოხუმი ჩეხოვის ქ. N 21

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ფასადზე სარეკლამო აბრების და კონდენციონერების მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ –ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, დ. აღმაშენებლის ხეივნის მე–12 კმ–ზე/ქ. თბილისი, ხეივანი დავით აღმაშენებელი მე–12 კმ. (ნაკვეთი #5/5), შ.პ.ს. "პატრიოტი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (N 01.10.06.011.057), არსებული შენობის ფასადზე, სარეკლამო აბრების და კონდენციონერების მოწყობას. პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები _ თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომლის მონტაჟი არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური".

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N 01.10.06.011.057. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან – რეგ. N 882015090633 24/02/2015წ; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, დ. აღმაშენებლის ხეივნის მე–12 კმ–ზე/ქ. თბილისი, ხეივანი დავით აღმაშენებელი მე–12 კმ. (ნაკვეთი #5/5), შ.პ.ს. "პატრიოტი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (N 01.10.06.011.057), არსებული შენობის ფასადზე, სარეკლამო აბრების და კონდენციონერების მოწყობის შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.